

# ნიღბები

ლექსები

ნათელა კაკაბაძე

თბილისი - 2009

**მხატვარი: მარი გირკელიძე**

© ნათელა კაკაბაძე  
დაიბეჭდა შ.პ.ს გაზეთი „საქართველოს მაცნეს“ სტამბაში

**ISBN 978-9941-0-1920-3**

## შთაბეჭდილება

რა სააზროვნო კონტექსტითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ნათელა კაკაბაძის პოეტური მედიტაციების ლაიტმოტივი, არსი მისი მხოლოდ და მხოლოდ მარტოსულობის ტრაგიკული იდეის განცდაა, რომლის სათავეცა და ამალორძინებელიც კვლავ საკუთარი სულის წიაღია, წიაღი შეურყვნელი და პირველქმნილი ბუნებრივობით აღბეჭდილი...

მისი „ნიღბები“ მონოლოგია ლირიკოსისა, რომლისთვისაც ყოველი წუთი გარდამავალი კრთომაა... და ამ უსასრულო გრადაციათა დინამიკაში ციმციმებს იდეალი, როგორც აუხდენელი და შორეული ოცნება...

მისი ლირიკული ვიზიონები სუბიექტურნიც არიან და ობიექტურნიც... ამგვარი თრთოლვით შეპყრობილი ადამიანური სული, როგორც აუცილებლობა, მალღდება დროის ეკზისტენციურ ქაოსზე და შინაგანი გაუცხოვებით შემკრთალი, საყვედურით გასცქერის ტკბილ-მწარე ყოფიერების „აფერადებულ“ პანორამას...

საკუთარი სულის გადარჩენას იგი განმარტოებასა და ლირიკულ წიაღსვლებში ცდილობს...

გრძნობათა შეუბღალავი სინრფელე და უჩვეულო სისადავე... მისთვის თითქოს არაფერს ნიშნავს მხატვრული სამკაულების „სიმცირე“... არა აბსტრაქცია და ხელოვნური წარმოსახვებით თავმონონება, არამედ ფაქიზი სულის დღიურები, პოეტური ფორმით გამხელილი აღსარებანი...

ასეთია ჩემეული განცდის ის დიაპაზონი, რომელიც ნათელა კაკაბაძის მშვენიერი ლექსების ციკლმა აღმიძრა...

თურმე შესაძლებელია, საკუთარი ცხოვრების პულსი შეიმეცნო და „დაიგემოვნო“ ბედისწერასთან ხმაურიანი დავისა და შერკინების გარეშე... ჩურჩულით ამოთქმული ლირიკული მონოლოგები და მათში განზავებული დიდი სიმართლეა ამ შემთხვევაში გარანტი მკითხველის გულწრფელი კმაყოფილებისა...

**გურამ ბენაშვილი**



## ნიღბები

აღამიანები დადიან ნიღბებით,  
ნიღაბი იცინის, ნიღაბი ღელავს,  
ნიღბების თარეში, ნიღაბთა სამყარო  
ო, როგორ სევდას მგვრის, როდესაც ვხედავ.  
მე ვხედავ ნიღაბთა ქარავანს ქუჩაში,  
ნიღბების ზეიმს და ნიღაბთა ცვენას  
და მე ვიძირები ოცნების ლურჯ ზღვაში,  
რომ არ ვიხილო ჩამქრალი მხერა.  
ნიღბები, ნიღბები, ყველგან ნიღბები,  
ნიღაბი იცინის, ტირის, თუ ღელავს...  
აღამიანები დადიან ნიღბებით,  
ნიღაბი დაგვცინის, დაგვცინის ყველას....





## მეტი სინათლე

წმინდა სინათლე — ზეცის ლაჟვარდი  
ჩამოდის ქვეყნად, განთიადია,  
ფერად სხივებით ნათდება ველი,  
ხარობს სოფელი, გალობს ფრინველი.  
ღამდება, ბნელა ბოროტი სული  
ღამეში ღამდრწის, ღამეში მეფობს,  
იგი აცდუნებს ადამიანებს  
დაპირებებით, ოქროთი, ვერცხლით  
და მას ცდუნება უადვილდება  
პატივმოყვარე ადამიანის.  
სურს გასწიროს და ცოდვაში შთანთქოს  
ღმერთის შექმნილი ადამიანი.  
სული წყეული უფროხის სინათლეს,  
იგი იმაღვის განთიადისას.  
შორს სული ღამის! შორს სიბოროტე!  
მეტი სიკეთე! მეტი სინათლე!





## საითაა გზა

მოღუშული დღე,  
დაღვრემილი ზღვა,  
დატვირთული წუთი.  
მოკუპრული ცა.  
უდიმდამო დილა.  
უშფოთველი ზღვა.  
დანისლული მთები.  
საითაა გზა...



## წუთისოფელი

„რა არის ჩვენი სიცოცხლე.  
ჩიტივით გაგვიფრინდება“

წუთისოფელი ბაღნარია, მზით მომცინარი.  
ხან მთვარესავით მჭმუნვარეა, არ მომდიმარი,  
წუთისოფელი სიპი ქვაა, მუდამ ბრუნავი.  
ხან აგამაღლებს, ხან წაგაქცევს შეუპოვარი,  
წუთისოფელი მდინარეა, სწრაფად მდინარი,  
მოიხედავ და წასვლის ჟამი უკვე წინ არი...





## საღვთისმეტყველო სათნოება ერთადერთია

სიყვარული ამაღლებაა, ღვთით ნაბოძებია,  
 სიყვარული სულის განძია — ნეტარი ცეცხლია,  
 სიყვარულისთვის უფალი ჯვარს ეცვა,  
 იგი სიყვარულის ღმერთია!  
 გვიყვარდეს ყოველი — მოყვასი და მტერი  
 ქრისტეს მცნებებია.  
 მხოლოდ სიყვარულით მივალთ უფალთან,  
 საღვთისმეტყველო სათნოება ერთადერთია.



## იღუმალეობა

თუ არსებობა საიდუმლოა,  
 იღუმალია ქვეყნად ყოველი...  
 და თუ სიცოცხლე სატანჯველია,  
 სიკვდილის შემდეგ ვნახოთ ყოველი.  
 იქნებ სიკვდილიც იღუმალია...  
 ვერც იქ შევიტყვეთ არსი ყოველის.  
 მაშ, ამ სიცოცხლეს სჯობს გაუმარჯოს!  
 წარვიდეს ჩვენგან ტანჯვა ყოველი...





## მარადისობა

დრო დაბადების...  
 დრო სიხარულის, დრო იმედების.  
 დრო აღმაფრენის, ახალგაზრდობის,  
 დრო სიყვარულის, ფაქიზ ფიქრების,  
 დრო ოცნებების, განმარტოების,  
 დრო მწუხარების და განსაცდელის,  
 დრო დასვენების, მონანიების,  
 დრო სიკვდილის და მგლოვიარობის...  
 დრო მოგონების, დრო განახლების,  
 დრო ზეციური მარადისობის...



## არ მეორდება ქვეყნად სიცოცხლე

არ მეორდება ქვეყნად არარა,  
 ადამიანი არ მეორდება,  
 არ მეორდება სიცოცხლის წამი,  
 და არც მზის სხივი არ მეორდება  
 დრო წარმავალი იმ წამსვე ჰქრება  
 და მხოლოდ გულის ტკივილი რჩება...

.....  
 განმეორდება ცხელი ზაფხული,  
 განმეორდება დღე.  
 განმეორდება თოვლ-ჭყაპი, ბინდი



რიცხვი, აგრეთვე თვე.  
 განმეორდება შზიანი დილა,  
 ღამე და ისევ ღლე,  
 მაგრამ არასდროს არ მეორდება  
 ჩვენგან წასული ღლე.



### ღრო

ერთი და იგივე შეხვედრის ადგილი,  
 ერთი და იგივე ვერხვი და გზები  
 და ასე რად თრთიან მაღალი ვერხვები,  
 ან რამ დაადუმა მშფოთვარე გზები,  
 ვინ იცის, იქნებ ღროს წასვლა ათრთოლებს,  
 ღრო მიდის, ვერხვი თრთის, ღუმდება გზები...



### ბედისწერა თუ ცივი ქარი

პაწაწინა რტოს, მწვანით მოსილს,  
 ცრემლით ვამკობდი,  
 შენთვის მომქონდა, ისევ შენსკენ მოვიჩქაროდი.  
 ქარი შემომხვდა, ცივი ქარი, მომტაცა ტოტი  
 და სინანულის ნაღვერდლით ვიწვი,  
 საით წაიღებს არავინ იცის...



## სიცოცხლის ხიდი

„რაც უნდა მოხდეს, იარე წინ!“

გოეთე

ერთი გზა გადის სიცოცხლის ხიდზე,  
ორი ბოლო აქვს გზას უსასრულოს —  
გზის ერთ ბოლოში მოსჩქევს სიცოცხლე,  
სავსე ხმაურით, ჟივილ-ხივილით,  
გზის ამ ნაპირზე როცა მივდივარ,  
მე ვიმოსები ვარდისფერ სხივით.  
სხივი მანიჭებს სითბოს და ძალას,  
სხივი მეხვევა, მეაღერსება,  
მაგრამ უეცრად ჩაქრება სხივი  
და მის მაგივრად წყველიაღი წვება.  
გაოგნებული გზას ვეღარ ვარჩევ,  
უკან დასახევ გზას ვეღარ ვხედავ.  
საით წავიდე? სიბნელის იქით  
კვლავ ნათელია? კვლავ სხივი ჩნდება?





## საით მივდივართ

სიდან მოვედით და საით მივდივართ,  
მარადიული წუხილი ჩვენი,  
ვითარც ტალღები ისე ჩავევლით  
წარმავალია სიცოცხლის დღენი?  
და თუ ამაო არის ყოველი,  
ეკლესიასტეს წუხილი წრფელი,  
რად გვიხარია ამ ქვეყნად მოსვლა,  
ღირს დაბადება — სიკვდილი ბნელი?  
სასოწარკვეთამ მოიცვა სული,  
ამაოებამ განღვენა რწმენა,  
მაშინ მოვიდა ქვეყნად უფალი  
და მოგვიტანა ახალი რწმენა.  
ახალი აღთქმა ჭეშმარიტების,  
რწმენა სიცოცხლის მარადიულის.  
ჩრდილი დარჩება გარდასულ დღეთა  
არ იკარგება არც ერთი წუთი.  
იგი გადავა დროთა ბრუნვაში  
ბრუნავს ყოველი, საწუთროც ჩვენი.  
როგორ იცხოვრე, რა გზით იარე  
იმ გზით მიაღწევ სასუფეველსაც,  
ჭეშმარიტების გზით მთარული  
აღლგები მკვდრეთით, მიაღწევ ღმერთთან.





## ბეწვის ხიდი

შორით ვიარე, საღღაც შევჩერდი,  
რა ქვეყანაა ნეტავ?  
წინ ბეწვის ხიდი შემომხვდა,  
ქვეშ უფსკრულია ვხედავ.  
შავი ღრუბლები მეხვევა,  
გასვლასაც ვერა ვხედავ...  
იქნებ ვიღაცა გამოჩნდეს,  
ვინმემ იქნება მიხსნას,  
ხიდის მახლობლად დავდგები,  
დაველოდები დიდხანს...  
უეცრად ხიდზე გამოჩნდა  
ქალი მარდი და მალი,  
ტანთ თეთრი კაბა აცვია  
არა აქვს ჩემი დარდი.  
ვუძახი, ვუხმობ დაიცა,  
გთხოვ, მომაშველო ხელი,  
უფსკრულში გადავვარდები,  
დიდი ხანია გელი...  
არ იხედება ის ჩემსკენ,  
არ არს მშველელი ჩემი.  
სწრაფად გავიდა ხიდზე  
და გაუჩინარდა ბნელში.  
სასოწარკვეთამ მომიცვა,  
არ სჩანს მეოხი ჩემი.  
ნაღვარევს გადავვარდები,



წვევლიადში დავინთქები...  
იქნებ უფალმა მომხედოს,  
იქნებ ღვთის მადლმა მიხსნას,  
გამოიდარა, სხივი კრთის,  
ხიდზე გავედივარ დიდხანს...  
გავედი, ხიდი შორს დარჩა  
მაღლით უფალი გვიცავს!..



## სით გელიან

ნაღვლიანი ქუჩა,  
ნაღვლიანი გზა,  
საით მიდის წუთი  
სიდან ისმის ხმა,  
ნიჩაბით და ლოდით  
სით გელიან სად?..





## თბილისის კართან

ისევ ვიხილე ნანატრი მშობელი მიწა,  
 ისევ გამოჩნდა ზურმუხტისფერი მთები,  
 თავზე დაგვნათის ლაჟვარდოვანი ზეცა,  
 მიიკლაკნება ცისფერი ბილიკით გზები,  
 გული კრთის, როცა ნანატრი წუთი ღვება.  
 კვლავ ფეხს ვდგამ მიწაზე, ისევ ის მიწაა თბილი,  
 ყველაზე თბილია მთელ ქვეყნად თბილისის მიწა,  
 უკვდავებაა ნაკურთხ მიწაზე ძილი.  
 აგერ, მოდუღუნე მდორე მტკვარსაც კი ვხედავ,  
 მასში ჩაძირულა სინათლის მნათობთა მწკრივი,  
 სინათლეს ირეკლავს წყალი და ელვარებს მდორედ,  
 რა სილამაზეა, რა ღამე ოცნების ჩრდილით,  
 წინ თრიალეთია მთები და ქედები რბილი,  
 მთაზე ჯვარია და ზეცას ვარსკვლავები ჰფარავს,  
 რაზე ვიოცნებო, ან რა ვინატრო ისევ,  
 როცა შემისრულდა თბილისში შემოსვლის ნატვრა.



## განშორება თბილისთან

მტრედისფერია ზეცა,  
 რძისფერ ნისლში მთები,  
 წინ სწორი გზა და სევდა  
 და დანისლული გზები,  
 ზეცას გადაჰკვეთს ძერა  
 წინ ჩანს უცნობი გზები...



## თოვლში სეტიალი

დილიდან ცვივა ფიფქები,  
საგულდაგულოდ თოვს,  
თოვლს დაუფარავს ქუჩები,  
გაუთავებლად თოვს,  
ცახცახებს ტოტზე ბელურა  
რა უსასრულოდ თოვს...  
მივალ თოვლსა და ავდარში,  
გზაც დაუბინდავს თოვლს,  
ისევ შენთან ვარ ფიქრებით,  
დღეს დილიდანვე თოვს...  
მივყვები თოვლიან ნაკვალევს,  
გზაც დაუბინდავს თოვლს,  
ისევ შენთან ვარ ფიქრებით,  
რა უსასრულოდ თოვს...



## დათოვლილი გზები

დათოვლილი მთები,  
დათოვლილი გზები,  
დათოვლილი ქუჩა,  
თოვლის ფანტელები...  
დათოვლილი ეზო,  
დიდი იმედები,



წავიდა და გაჰქრა  
ძველი ოცნებები...  
თოვლზე ისევ ჩნდება  
ნაღვლიანი გზები,  
ირგვლივ ისევ ბრუნავს  
თოვლის ფანტელები,  
ისევ მოგაქვს ჩემთან,  
დათოვლილი გზები...



### თოვლში ვიდრდით

თოვლში ვიდრდით, დიდხანს გვათოვდა,  
გვათოვდა თეთრი თოვლი,  
ფიფქები ირგვლივ მიწას ათოვდა,  
თეთრად ბარდნიდა თოვლი.  
ფიქრებში გართულთ მოხეტიალეთ  
სახეში გვცემდა თოვლი.  
ფიფქები თითქოს გვიალერსებდა,  
ქარს მიჰყვებოდა თოვლი.  
დიდხანს ვიდრდით, ვხეტიალობდით  
ოცნებას ჰგავდა თოვლი...





## გულისტკივილი

თუ ბედისაგან გვიწერია ერთხელ სიკვდილი,  
გული თელილი რატომ კვდება ამდენ ათასჯერ?  
სულის ტკივილი, სულის ტანჯვა, სულის ობლობა.  
თუ გიწერია — წამებაა ამ ქვეყანაზე.  
ამ ტკივილებით უსამართლო ბედთან ჭიდილში  
გული იმსხვრევა, ჩვენც ვიმსხვრევით მრავალ ათასჯერ.  
თუ ბედისაგან ჩვენ გვერგუნა ერთხელ სიკვდილი,  
რა საჭიროა გული მოკვდეს ამდენ ათასჯერ...



## დედა-შვილი

ხელჩაკიდებული დედა-შვილი მიდის ქუჩაში,  
რა სიყვარულია, რა სითბო, ალერსი,  
რა სიფაქიზე და რაოდენ ზრუნვა.  
ბავშვს მაგრად უჭირავს მზრუნველი ხელი,  
შიშობს არ დაჰკარგოს მან დედა მხსნელი.  
დედა ოცნებაა, მის ციხე-კოშკი,  
დედა ხატებაა, მხსნელი და მცველი  
და მაგრად უპყრია მას დედის ხელი.  
დრო გადის, დროს მისდევს, სოფელი ბრუნავს,  
შვილი კი იზრდება, მას გაზრდის ზრუნვა.  
აგერ მოაბიჯებს დედის წინ შვილი



მას აღარ უპყრია მზრუნველი ხელი,  
დედა დათოვლილა ცხოვრების სუსხით,  
ო, როგორ სჭირდება ჩასჭიდონ ხელი,  
ო, როგორ სჭირდება ღიმილი შვილის,  
შვილი კი ვერ ამჩნევს, ის მის წინ მიდის.



### ღიღი ღმერთი მფარველია შენი

სული შენი ქრისტეს სულის ნაწილია,  
ღიღი ღმერთი მფარველია შენი,  
სევდა შენი, ფიქრი შენი ნათელია,  
აზროვნება, ინტელექტი შენი.  
შევიგრძენი შენი სულის სიმართოვე,  
შევიგრძენი სიღიადე შენი,  
სული შენი ქრისტეს სულის ნაწილია,  
ღიღი ღმერთი მფარველია შენი...





## სიმარტოვე

იყო ფილოსოფოსი დიდი დიოგენი,  
რომელიც ცხოვრობდა კასრში,  
ვიდოდა ჩირაღდნით ღამით და ღღისითაც,  
ექებდა ეპოვნა კაცი.  
დიდხანს ვიდოდი ნათელ ბილიკზე  
რწმენით, იმედით სავსე...  
იმედის ლანდი იძირებოდა,  
ვრჩებოდი სევდით სავსე...  
მასხენდებოდა დიდი დიოგენი,  
რომელიც ცხოვრობდა კასრში,  
ვიდოდა ჩირაღდნით ღამით და ღღისითაც,  
და მაინც ვერ ჰპოვა კაცი...



## მარტოხელა

დიდ გზაზე მიდის მარტოხელა,  
სევდით მოცული, გაოგნებული,  
ვინ შეიფარებს, ვინ შეიბრალებს  
ან ვისთან მივა იგი ეული,  
გზაზე არეინ სჩანს...  
ცა მოიკუპრა, ჩამოწვა ბინდი,  
სასოწარკვეთამ მოიცვა იგი,  
ამაო არის ლოდინი დიდი...



და სასოებით ევედრა უფალს,  
ზე აიხედა, გამოკრთა სხივი,  
რწმენამ მოიცვა, მარტო არ არის,  
და მასთან არის უფალი დიდი...



## სიზმარია თუ სიცოცხლის ხედვა

გაჰქრა ყოველი, უდაბნოა ირგვლივ მღუძარე,  
ჭეშმარიტება ვერ ვიპოვე, მისთვის ვღუძვარ მე!  
სიზმრად ვიხილე თეთრი სვეტი ცათაბრჯენილი,  
და მასზედ კიბე ცამდე აწვდილი.  
დიდი წვალებით ავედი სვეტზე,  
ვიხილე ცა ლაჟვარდოვანი, უკიდევანო სივრცეები,  
ანგელოზები და ზამბახები თავდახრილები,  
გაისმოდა შეძახილები: ჭეშმარიტებას ჩვენთან ჰპოვებ,  
ხსნა ჩვენთან არი!  
მხოლოდ დადუმი, უნდა შესძლო „თავდავიწყება“...  
ვინ ხარ? საიდან? სადაური? ვინ გიყვარდა?  
რა გაღელვებდა?  
გული კი შფოთავს, მას არ ძალუძს „თავდავიწყება“  
მისი ფუქია სიყვარული, არ დავიწყება,  
„თავდავიწყება!“ ისმის მძლავრად „თავდავიწყება!“  
თუ გსურს იპოვო ცის ლაჟვარდი, ჭეშმარიტება!





## ბინდი

ბინდი ჩამოწვა, ჩვენაც ვლონდებით  
 ირგვლივ ბინდლება მეტად და მეტად,  
 ჩვენს სულს მოსწყინდა თვისი სხეული  
 და განშორება ისურვა ჩვენგან.  
 როს სული ჩვენი თავისუფლდება  
 უმაღლადი ფრენს ლაჟვაროვან ცას,  
 ამა სოფლის გამოცდის შემდეგ აიტყორცნება  
 სამარადისოდ მიაშურებს უცხო ქვეყანას.  
 წუთისოფელი როგორ განველეთ, რა რჩება ბოლოს?  
 რამ უნდა გვიხსნას სიმართლის და ლოცვების გარდა?  
 რა ვთქვით? „ხორბალი თუ ღვარძლი“ ამ სოფლად?  
 ბინდლება უფრო... ახლოდება განკითხვის ჟამი...



## ოქროსფერ ღრუბლებს მირეკავს ქარი

ოცნების ოქროსფერი ღრუბლები  
 ბრწყინვალე სხივით იმოსებიან  
 სულში ისახება იმედის ლანდები,  
 ელვარებს ცა და ციმციმებს ნათელი.  
 უეცრად მოისმის ქუხილი მძლავრი,  
 ჩამობნელდა ცა, მძვინვარებს ქარი.  
 ოცნების ღრუბლები შორით მიჰქრიან  
 და სიბნელეში შთაინთქმებიან...



წვედიადის, ბინდის შავი ღრუბლები  
მედიდურად მიდი-მოდიან...  
სულში ისადგურებს სევდა და დარდი,  
შორით ლიცლიცებს იმედის ლანდი.



## შავი ღრუბლები

გავდივარ ვიწრო ხიდზე, ქვეშ უფსკრულია ვხედავ,  
მზე ღამანათებს სხივებს, შორით მილიმის ზენა,  
გავდივარ ვიწრო ხიდზე, გავდივარ ნელა-ნელა,  
ცა იმოსება კუპრით, შავი ღრუბელი წვება,  
არა ჩანს სხივი არსით, სხივი ღრუბლებში ჰქრება.  
უფსკრულმა უნდა შთანმთქას, სასოწარკვეთა ჩნდება,  
უფალო, გვედრებ ღმერთო, გადამარჩინო ნეტა!  
წვიმამ მაპკურა ცვარი, შორს ცისარტყელა ჩნდება.



## მისტვისაც ვილოცოთ ღმერთი

მეტროს შესასვლელთან იჯდა ახალგაზრდა,  
ვაჟკაცი ცალი ფეხით,  
თხოვდა დახმარებას გამვლელ-გამომვლელს,  
გაეცით, იწამეთ ღმერთი...  
შევსდევ და ვუძნერდი წამებულ ახალგაზრდას,  
ვუძნერდი დიდი სევდით,



აღბათ მამულისთვის ეწამა იგი  
და დასახიჩრდა ბედით.  
ვხედავ, მივიდა მასთან მოხუცი  
თეთრს უყრის ნაღვლიან მზერით,  
მაგრამ უეცრად აენტო ვაჟი —  
არ მინდა შეწვენა შენი,  
წადი და ილოცე, ილოცე ჩემთვისაც  
მხოლოდ ამას გთხოვ, დედი...  
მეტროს შესასვლელთან იჯდა ხეიბარი,  
ვაჟკაცი ცალი ფეხით,  
თხოვდა დახმარებას გამლეღ-გამომვლეღს,  
მისთვისაც ვილოცოთ ღმერთი...



## შემოდგომის დღე

შემოდგომაა, ოქტომბერია,  
ციდან მეცემა სხივი.  
ო, როგორ მათბობს შემოდგომის დღე,  
მათბობს ოქროსფერ სხივით.  
ზაფხულის სიცხემ დამწვა, დამდაგა,  
სული დამიწვა გვალვამ,  
შემოდგომის მზე ნაზი სხივებით  
მეაღერსება დამწვარს.  
სიო უბერავს, ფოთლები სცვივა,  
ფოთლები მათოვს გულზე,



ყვითელ ფოთლების საბანს ვიფარებ,  
ფოთლების სამოსს ვიცმევ.  
ო, როგორ მინდა დღე არ დადამდეს,  
არ შეიცვალოს დარი,  
აქ დამეძინოს ყვითელ ფოთლებში  
მსდევდეს ფოთოლთა ჯარი.



### შემოდგომის ვერხვი

ქუჩაში დიხანს დაჰქროდა ქარი,  
სული ტკივილით თრთოდა,  
ქარს შორს მიჰქონდა ვერხვის ფოთოლი  
ვისთან მიჰქონდა ნეტავ?  
ან სხვას რად უნდა ვერხვის ფოთლები,  
სამოსი პატრონს უნდა.  
საბრალო ვერხვი დაღლილი ბრძოლით,  
ბოლოს დაეცა ძრწოლით,  
ყველა წაიღე ქარო, ძლიერო,  
გთხოვ, დამიტოვო ყლორტი.





## ქარიშხალი

გაზაფხულია. ზუზუნებს ქარი,  
 ვარდობისთვია. სცვივა ვარდები...  
 ჯერ არ ყოფილა დარი ასეთი,  
 სცვივა ვარდი და თრთიან ხეები.  
 ჭექს, ღამდება და ღრუბელი წვება,  
 ელავს და ზეცას მოსტირის წვიმა.  
 ხეები კვნესის და ვარდები სცვივა,  
 ქარიშხალია... სულს როგორ სცვივა...



## მზე ადამიანში

„ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ  
 მიეცით საშუალება, რომ ანათოს“.

**სოკრატე**

მზე ბუნებაშია

— ადამიანშია!

მზე მაცოცხლებელი,

და მანათობელი,

ღვთის ნაბოძები,

დამათრობელი,

მზე მცხუნვარე


და ჩაუქრობელი

ადამიანშია!

„ოღონდ მიეცით საშუალება



რომ ანათოს“ — უთქვამს ბრძენს  
ნუ მიეფარვით მზეს!  
ნურც დაჩრდილავთ გზებს!  
ნუ დაუბნელებთ ადმიანებს  
ღვთისგან ნაბოძებ ღღეს!



## ქალი და მზე

უქალო სახლი ნასახლარია,  
ქალი მშვენიებაა, სიცოცხლის ხიდი.  
ქალი სატრფოა და ცხოვრების სვეტი,  
ქალი ღედაა და კერიის მნათობი.  
სახლებს ხავსი ჰფარავთ სიძველის აჩრდილით,  
სახლში არ ფუსფუსებს ქალი, არც ყმაწვილი,  
სახლში არ გიზგიზებს კერიის ცეცხლი  
არც კერას ათბობს ქალი თვის ცეცხლით.  
აკვანს არწევს ქარი, არა სჩანს ღედა,  
ქარი ისაკუთრებს სახლსა და კერას.  
ზუზუნებს ქარი და იბუღებს სევდა,  
შორით ბუ გაჰკივის, ნუგეში ჰქრება.  
სხივებში ქალი ჰკრთის ცეცხლისფერ თმებით,  
თმებსა და თვალებში მზის შუქი შვენის.  
მზისაგან გამთბარი ქცეულა ცეცხლად,  
და სითბო იფრქვევა, ინთება კერა.  
კვლავ ჩნდება სიცოცხლე, გიზგიზებს ცეცხლი,



ელვარებს ღიმილი ნუგეშისმცემი,  
ქალს მოაქვს შზის სითბო მკერდით და თმებით,  
სახლში მზე შემოდის, ნათდება ჭერი.




## საქართველოს მზე

„მზეო ამოდი, ამოდი...“

ხალხური

ჩვენო მზეო ღვთაებაო,  
საქართველოს მზეო,  
ნუ ეფარვი ღრუბლებს,  
ნუ ჩაიბჟუტეო!  
გული გათოშილია  
და შენ გააცოცხლეო!  
გზად წყვდიადი ჩამოწვა  
და შენ გაგვინათეო!  
სული თოვლით ავსილა  
და თოვლი გააღწეო!  
ქალღვთაებავ, დიდებულო  
საქართველოს მზეო!  
იკაშკაშე, ილივლივე  
სული გაგვითბეო!  
გული თოვლით გაყინული  
შენ გააცოცხლეო!





## ცა და ზღვა

მთაც ცისფერია, ზღვაც ცისფერია,  
 ცისფერ შუქს აფრქვევს ზეცა,  
 ზურმუხტისფერი ბილიკს მიჰყვება  
 ფიქრი, ოცნება, სევდა.  
 ზეცისგან თითქოს ფარდა ეშვება,  
 ცა და ზღვა ერთად ჩნდება,  
 ბილიკიც იქვე ზღვაში ეშვება,  
 ზღვის ზვირთებს ერთვის სევდა.  
 ცისფერი ზვირთი ზვირთებს მიჰყვება,  
 ზვირთი გაჰფანტავს სევდას,  
 ზეცა კამკამა ცისფერ შუქს აფრქვევს,  
 სულის ტკივილი ჰქრება.



## მე და ზღვა

ო, როგორ მინდა ქარაფთან ვიჯდე  
 და გავჰყურებდე ზღვას,  
 სულის ტკივილი უერთდებოდეს  
 ზვირთმრავალ, დანიხლულ ზღვას.  
 ზღვაში შევიდე სულ მარტოდმარტო  
 სევდა გაჰფანტოს ზღვამ.  
 ზღა იყვეს ჩემი მესაიდუმლე,  
 მფარვიდე მალლით ცა.  
 აბობოქრებულ ზღვაში გიხმობდე,



ზვიროს შევეუერთო ხმა.  
 იქნება გული განთავისუფლდეს,  
 სევდა წალეკოს ზღვამ,  
 შემდეგ ისევე ქარაფთან ვიჯდე,  
 თავს დამნათოდეს ცა.



.....

წუთს ჰფარავს ღრუბელი, ტრიალებს ღერძი,  
 ბრუნავს დედამიწა, დღეს შესცვლის ღამე,  
 სიცილს - მწუხარება, სიხარულს - სევდა,  
 სოფელი გვაბრუნებს, სოფელი დელავს...  
 იცვლება ყოველი, ჟამს მიაქვს ყოველი,  
 მოდის სიხარული, მოდის ოცნებები,  
 მოდის სიცოცხლე და მოაქვს იმედები,  
 ბოლოს ესეც ჰქრება, დროს მიაქვს ყოველი.  
 ბრუნავს დედამიწა, გვაბრუნებს სოფელი...



### განსაფხული დადგა

მოგვაშორეთ ღამე!  
 გადასწიეთ ფარდა!  
 შემოუშვით სხივი!  
 გაზაფხული დადგა!





## ისევ გამოიდარებს

ისევ გამოიდარებს,  
იკაშკაშებს მზე,  
იბიბინებს მინდორი  
და ამწვანდება ტყე.  
ზამთრის სუსხი თოვლს გაჰყვება,  
გაღიდდება ღღე,  
თავს ამოჰყოფს ლურჯი ია,  
გაგვახარებს მზე.



## არ დაბრუნდება

უსასრულოდ სჩანს ზეცა  
და იისფერი სხივი,  
უსასრულოა შარა,  
მასზე — სიცოცხლის ხიდი.  
მაგრამ უეცრად შეწყდა  
ზეცის ციმციმა სხივი,  
ნისლი ჩამოწვა მთებზე,  
გადაეფინა ჩრდილი  
მაგრამ უეცრად შეწყდა  
ეს უსასრულო შარაც,  
სიცოცხლის წუთი მიჰქრის,  
არ დაბრუნდება, არა...





## ფიქრთა ნიაღვარი

ფიქრთა ნიაღვარი არღვევს სიჩუმეს,  
 შენთან ვარ ფიქრით, შენთან ვარ მარტო,  
 ვფიქრობ, კვლავ ვფიქრობ, ფიქრი არ მტოვებს,  
 დამტოვებ ერთ წუთს, დამტოვებ მარტოს?  
 — ო, ნუ დამტოვებ ნურასდროს მარტო...



## თეთრი გვირილები

გაზაფხულია და ისევ მაგონდები,  
 ისევ მახსენდება თეთრი გვირილები,  
 ამას გევედრები — ნულარ მებუტები,  
 დამიკრიფე ისევ თეთრი გვირილები,  
 ისევ გამიღიმე, ნუ გამებუტები,  
 დამიკრიფე მხოლოდ თეთრი გვირილები...



## ტალღები

ტალღები, ტალღები ცისფერი ტალღები  
 ცისფერი ზეცა და ზღვა,  
 ტალღები ბრუნავენ, ტალღები მიდიან,  
 მიდიან ნეტავი სად?  
 როდემდე, როდემდე, როდემდე მიყვარდე,



წამლექავს სადამდე ზღვა.  
მარადიული სიცოცხლის ტალღები  
მიდიან ნეტავი სად?  
სიცოცხლე ჩაივლის, ისე ვით ტალღები  
მივდივართ, ნეტავი სად?  
სიცოცხლე ჩაივლის, ტალღები ბრუნავენ,  
მალლიდან დაგვეურებს ცა...  
ტალღები, ტალღები, ცისფერი ტალღები,  
ცისფერი ზეცა და ზღვა.  
ტალღები ბრუნავენ, ტალღები მიდიან,  
მივდივართ, ნეტავი სად?..



## ირგვლივ უდაბნოა

უდაბნოში ვარ, სრულიად მარტო,  
უდაბნოს მწირი ვარ მიუსაფარი,  
სასტიკად მცხელა და ვნატრულობ წვიმას.  
ცა კი მაყრის ქვიშას და მხოლოდ ქვიშას.  
ხელებს მალლა ვმართავ, ვიშორებ ქვიშას.  
თვალესაც მიბნელებს წამლექი ქვიშა.  
ვნატრულობ მდინარეს, რომელიც განმბანს,  
გამრიევავს ნაპირთან, მიმიყვანს წყალთან,  
სადაც სიცოცხლეა, სად ოაზისია,  
და ოაზისია მდინარის პირას.  
ვხუჭავ თვალებს, რომ მოვშორდე გარემოს,  
მოვშორდე უდაბნოს ცხელსა და ქვიშიანს,



და შენ ჩამოჰქრიხარ მჩქეფარე მდინარედ,  
მობშუი მშველელად, სიცოცხლის ხიდად.  
მივევები დინებას მშფოთვარე ტალღების,  
სით წამიღებს და გამრიყავს არ ვიცი,  
კვლავ მაცოცხლებელ მდინარედ მოხვედი,  
მივალწევ რაზისს?.. არ ვიცი...



### ყაყაჩოს ცეცხლი

დილის რიჟრაჟზე შევხედე ლარნაკს  
ყაყაჩოები ეწყო,  
ყაყაჩოს ცეცხლმა მე გამაბრუა,  
ყაყაჩოს ცეცხლი მენთო.  
შემოიტანე ყაყაჩოები,  
გაუჩინარდი თვითონ,  
დილის რიჟრაჟზე სად დამიკრიფე  
შენ ჩემო გულის სითბოვ!  
შემდეგ გავიდა ის გაზაფხული,  
და ჰქროდა ქარი ავი,  
ყაყაჩოს ფურცლებს ქარი აბნევედა,  
დაძრწოდა ცივი ქარი.  
შემდეგ მოვიდა მწველი ზაფხული,  
დასწვა ყაყაჩო ცეცხლმა,  
გვალვამ ჩაჰფერფლა ის სიყვარული,  
როგორც ყაყაჩო ცეცხლმა.





## ტკივილი დროის

შენთან ვარ ფიქრით...

უძირო დროში უსაზღვროა სულის ტკივილი,  
დარჩა ჩვენ შორის სულის ძახილი შორეული,  
დროზე მალლადმდგომი, გაწმენდილი, ფაქიზი,  
და დიდი ტკივილი, აუნაზღაურებელი ტკივილი დროის,  
ტკივილი წარსულის, აწმყოსი და მომავლის...



## შენი სამოსი იისფერია

იას მაგონებს შენი ღიმილი,  
ეგ შენი კაბაც იისფერია,  
იისფერ შუქით განათებულხარ,  
როგორც ოცნების ლურჯი ფერია,  
იას მაგონებს შენი ღიმილი,  
შენი სამოსიც იისფერია.





## შორია სავალი გზა

ადამიანები საწუთროდან მიჰქრიან,  
შორია სავალი გზა...  
ტალღები მიდიან, მიდიან,  
რა უსასრულო აქვთ სვლა...  
სიცოცხლე ტალღასავით ჩაივლის,  
სული ამალღდება ცად.  
ყველაფერი მოგონებად იქცევა,  
ამ ქვეყნად დასტოვებს კვალს,  
წარმავალი ჟამი ჰქრება  
და ხდება თაობათა ცვლა,  
ყველაფერი სიზმარივით გაჰქრება,  
ნააზრევის და ნათელის გარდა!



## მზე განახლების

რაც კი არსებობს ყველა იცვლება,  
ცვალებადია ქვეყნად ყოველი,  
ზაფხულს მოჰყვება ფერიცვალება,  
უფერულება მინდვრის ფერები.  
დრო წარმავალი ცელავს მწვერვალებს,  
მიაქვს სიცოცხლე და იმედები,  
და უსასრულოდ ისევ და ისევ  
ალივლივდება მზე განახლების,



იგი აქრობს ბნელს, ადავსებს გრძნობას,  
ყვავილებიდან სკდება კვირტები.  
გულს ესახება იმედი, რწმენა,  
ავდარს მოჰყვება გამოდარება.  
ერთი მიდის და მეორე ჩნდება  
და ყოველივე რწმენით ნათდება.



### ცხრა აპრილი

ცრის და წვიმს,  
გადაუღებლად წვიმს...  
საქართველოს მაღალი ზეცა  
დასტირის ნეტავ ვის?  
თავდაჩეხილებს თავის შვილთ გლოვობს,  
სისხლის ცრემლები სდის...  
სისხლით მოირწყა ქართული მიწა,  
ზეცას ცრემლები სდის...  
ამ ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტაში  
ბრალი ედება ვის?!





## მზე შინა და გარეთ

შენს ოთახში სხივი ჰკრთის,  
მზეა შინ და გარეთ,  
შენ კი აღარ მოდიხარ,  
აღარ აღებ კარებს.  
სული სევდით ივსება,  
თან მსდევს ფიქრი მწარე,  
თითქოს შენი ხმა მესმის,  
შინა ვარ, თუ გარეთ...  
ისევ გაზაფხულია  
მზე შინა და გარეთ,  
შენ კი აღარ მოდიხარ,  
აღარ აღებ კარებს.



## ორი ქვეყნის ბჭესთან

ზეცას სწელებოდა წვიმა,  
და იყო ღამე ბნელი,  
ხელში მითრთოდა ბავშვი,  
როგორც უმანკო მტრედი.  
ნაღვლიანია ქუჩა,  
სევდას მოუცავს გზები...  
მოკუპრულია ზეცა,  
იდუმალია ბედი...



თრთის და ცახცაცებს წამი,  
არ ჩანს ნუგეშისმცემი.  
ზეცას მოსტირის წვიმა,  
თვალთაგან მცვივა ცრემლი,  
კრთის და ცახცახებს ბავშვი,  
როგორც უმანკო მტრელი.

.....  
გამოიდარა, გადარჩა ბავშვი,  
განვიდა ღამე ბნელი...  
მატარებელი ჩქარი

მიდის სიცოცხლე პარვით,  
ჰქრება სიცოცხლის წამი,  
მატარებელი მიჰქრის,  
მატარებელი ჩქარი...  
შორით ჰანგები ისმის,  
თრთის იღუმალი წამი.  
სიცოცხლე კრთის და მიჰქრის  
მატარებელი ჩქარი...





## შორით ჰგოდებს ქარი

თეთრი გედი სევდისმომგვრელი, მშვიდად სცურავს ტბაში,  
ტბა მუქია, ზეცაც მუქი, ჩნდება კუპრი ღამის.

თეთრი გედი შორით ძღერის, სადღაც ჰქრება კვარი.

სიცოცხლე თრთის, სევდა გვიპყრობს.

შორით ჰგოდებს ქარი...



## სიკვდილის ღანდი

ძმის – მალხაზ კაკაბაძის ხსოვნას

ღამის წყვდიაღში, ყინვიან ღამით,

შავი მანტიით, მბრძანებლურ სახით,

შავი სარკმლიდან ეშვებოდა სიკვდილის ღანდი.

ავადყოფი ითხოვდა შეელას...

ცოტა ხნით კიდევ დამაცადო, სიკვდილო ნეტა,

სალოცავი მაქვს, მოგონება გარდასულ დღეთა.

— მე მოგასვენებ დაგაღუმებ, გექნება შვება!

მე ძალმიძს ტანჯვას განგარიღო, რა რიგად დეღავ!

სულთმობრძავი ითხოვდა შეელას...

— გვეოფა ლოცვა! სიბნელეა, გამომყევ ნელა!

ღამის წყვდიაღში უკუნეთი იანვრის ღამის

შავი სარკმლიდან ეშვებოდა სიკვდილის ღანდი...



## მწუხრის ლოცვა

დის – მზია კაკაბაძის ხსოვნას

ცაო, მაპკურე წვიმა,  
წვიმავ, დამნამე ცრემლით,  
მოვედი უძღური შვილი,  
მოვედი მტკივანი ფეხით...  
უფალო, მაკმარე ტანჯვა,  
ისმინე ლოცვანი ჩემი,  
მიწავ, მაფარე კალთა  
მიიღე სხეული ჩემი.



## შესანდობარი

მეუღლის – გიორგი კაციტაძის ხსოვნას

ფერმიღეული ყვითელი მზეა,  
ხეები თრთიან, სცვივათ ფოთოლი,  
შემოდგომაზე, ფოთოლცვენის დროს,  
ჩუმაღ წახვედი, როგორც ფოთოლი.  
შენი სავანე მუხნარი ტყეა,  
გულზე გაყრია ფოთოლთა გროვა.  
იდუმალებით მოცულა არე...  
დუმს სასაფლაო მიუსაფარი...  
ყველა შეყრილა, შენ კი წახვედი,



შეისვა შენი შესანდობარი:  
 „ჩვენგან წავიდა კაცური კაცი,  
 მრავალ ღირსებით, დიდ ნებისყოფით,  
 სული გაფრინდა შორეულ სივრცით,  
 გული აქ დარჩა, ის ჩვენთან არი...  
 როს მარტის თვეში ჩადგება ქარი,  
 გაიშლებიან ტყეში იები,  
 დაბადების დღეს, შენს სამარეზე  
 იყვავილებენ მხოლოდ იები...“



### ღამღალა ღარღმა

მწვანე ბილიკი სიცოცხლისა დაეშვა დაღმართს,  
 ღამღალა ღარღმა და ნალველმა ამ ქვეყანაზე,  
 ჭეშმარიტებას ვეძიებდი თავდავიწყებით.  
 მაინც ვერ ვპოვე სავალი გზა მასთან მისვლამდე  
 დრო იმედების თითქოს დაღუძდა,  
 მაინც არ ცხრება სული მშფოთვარე,  
 ბინდისფერ ნისლში გამოკრთის სხივი,  
 და სიხარული ჩნდება იმწამსვე  
 ებრძვის ერთმანეთს ჩუმი სევდა და სიხარული,  
 როგორც სიბნელეს სცვლის სინათლე.  
 ო, დილო ღმერთო! გვაშორე ღარღი  
 და სიხარული მოგვანიჭე ამ ქვეყანაზე!





## როცა მოვკვდები

როცა მოვკვდები შავი მიწა გადმეფარება,  
 დავრჩები მარტო და კვიპაროსს გადავცემ სევდას  
 და კაეშანი ბნელ მხარეში დაისადგურებს,  
 არსაით შვება, არც შენლობა, საკმევლის კმევა.  
 შენ მოხვალ ჩემთან, ლურჯი იებით შენ მოხვალ ჩემთან  
 და ცივ სამარეს დაათოვს ცრემლი,  
 რა საჭიროა სანთლები და საკმევლის კმევა,  
 როცა სამარეს დაათოვს ცრემლი, შენ მოხვალ ჩემთან.

## გახსენება წაღვერში

1939 წლის ზაფხულში პოლიკარპე კაკაბაძე  
 ოჯახით ისვენებდა წაღვერში. ლექსი დაწერილია მრავალი  
 წლის შემდეგ, როცა მწერალი ამქვეყნად აღარ იყო.

წაღვერში ვარ, მწველი მზეა  
 ნაძვი აკმევს საკმეველს,  
 ხშუის, მიჰქრის გუჯარულა  
 და გარემოს აღელვებს.  
 ვდგავარ ხიდზე მარტოდმარტო.  
 ნაძვი აკმევს საკმეველს,  
 და ვიგონებ ჩემს წმინდანებს —  
 მამას, დედას, წინაპრებს,  
 ამ ხიდზე ხომ დიდი მამა



ღრმა ფიქრებში წასული,  
თითქოს ხიდზე გკერდით მეღგას;  
კვლავ ფიქრებში გართული,  
ძველი ხიდი იგივეა,  
გუჯარულა მდინარეც.  
ვეფერები ყოველ ქვას  
და გუჯარულა მდინარეს  
მე შენთან ვარ, დიღო მამა,  
სიყვარულით, წარსულით.  
ო, რამდენჯერ, ო, რამდენჯერ  
დადიოდი ამ გზებზე  
დატვირთული ზრუნვით, ფიქრით,  
ოჯახზე და ბავშვებზე.  
და იტყვდი დიდ გენიას  
ფიქრებით და აზრებით,  
ო, როგორ ვგრძნობ შენს ტკივილებს,  
შენთანა ვარ არსებით.  
ხშუის, მიჰქრის გუჯარულა,  
გუჯარულა მდინარე,  
თითქოს ესმის ჩემი სევდა  
ამ პატარა მდინარეს.





## მამას

დიდო მამაო, შენ შენი სიბრძნე  
შენს ერს გალაეც, ღალადებს ცაში,  
შენი გმირები დადიან ქვეყნად,  
კარიდან კარში, თემსა თუ ჯარში,  
დიდ გამზირებზე და წვრილ ქუჩებში,  
დადიან დილით, დადიან ღამით...  
თვით უკვდავება მოსავს მათ სახეს  
და შეჩერება არ უწერიათ...  
ნიღბებს ირგებენ, ცოტა ხნის შემდეგ  
ისევ უნიღბოდ გვევლინებიან...  
დიდო მამაო, შენს სიცოცხლეში,  
საქართველოს კარიბჭესთან იდექი მედგრად,  
ბასრი კალამი მტრის გულს გმირავდა,  
ვინ წარუძღვება დარჩენილ ერსა?



## სოფელი ინგრეოდა, სოფელი შენდებოდა

მამალი ყიოდა, დილა თენდებოდა,  
მერე ბინდებოდა და მთვარე წვებოდა,  
შორეულ სახლში სინათლე ჰქრებოდა.  
პატრონი საწუთროდან მიემგზავრებოდა.  
დილა თენდებოდა, მის სხივი ჰქრებოდა,  
მზე და ვარსკვლავები მისთვის არ ჩნდებოდა,  
სიცოცხლე მოგონებად რჩებოდა



სიცოცხლის ნაკვალევი ქვეყნად არ ჰქრებოდა,  
სულის ნააზრევი ისევე რჩებოდა,  
იგი კი შორს იყო სიზმარში ჩნდებოდა.  
სოფელი ინგრეოდა, ისევე შენდებოდა.  
ახალი სიცოცხლის სანთელი ინთებოდა.  
ყველაფერი ისევე თავიდან იწყებოდა:  
მამალი ყიოდა, დილა თენდებოდა,  
შხე და ვარსკვლავები ხელახლა კრთებოდა.  
მერე ბინდდებოდა და ღამე წვეებოდა,  
თითქოს ყველაფერი მეორდებოდა.  
განვლილი ჟამი შთაინთქმებოდა.  
სიცოცხლე გარდასული არ ბრუნდებოდა,  
ადამიანი არ მეორდებოდა.



## მოლოდინი

ისევე ამოვა შხე,  
და გაანათებს ბნელს,  
ვდგავარ ჭადართან მარტო  
და გელოდები შენ...  
ზუზუნით ამოვარდა ქარი,  
სევდა რად მიპყრობს მე?  
ავდართან ბრძოლით დაღლილმა,  
როდემდე გელოდო შენ...



ისევე ჩადის მზე,  
 წვედიადი ჰფარავს გზებს...  
 ვღგავარ და მთვარის შუქზე  
 კვლავ გელოდები შენ...  
 ქართან ბრძოლაში დავეცი,  
 როდესაც გიცდიდი შენ...

.....

ამოვა დიდი მზე  
 და გაანათებს ბნელს...



## სიმორე

ვარ ძალაღ მთებში  
 შენ გელოდები...  
 მხოლოდ შენ მისხსნი,  
 შორიდან მესმის ძახილი შენი,  
 მე ხმას ვერ გაწვდი,  
 უსაზღვროა სევდა ჩემი...





## ანას

უფალმა გლოცოს, გახაროს,  
სიომ გიმღეროს ნანაო,  
ციური სხივით მოსილო,  
ვინ არის შენისთანაო.

უფალმა კალთა გაფაროს,  
ჩემო ღვთაება ანაო,  
გვირილის სიომ დაგბერა,  
გვირილის ცვარმა გბანაო,  
თვით დაემსგავსე გვირილას,  
ჩემო პატარა ანაო.

ვარდმა გაპკურა ცვარი  
და ციური სხივით გფარაო,  
დაცუნცულე და ტიტინებ,  
ცუგების ამბებს, ანაო.

ციური სხივით მოსილო,  
ვინ არის შენისთანაო.

უფალმა კალთა გაფაროს,  
სიომ გიმღეროს ნანაო.





## ზატარა ანასტასიას

ანასტასია — ლურჯთვალა ია,  
ანასტასია — იმედი ჩვენი,  
მოხვედი ჩვენთან, სხვა სამყაროდან  
და გაანათე ოჯახი, ჭერი!  
ყველას გვახარებს შენი ბაობა,  
ღულუნი შენი, ღიმილი შენი,  
თითქოს ორი ცა ერთად შეგვეყურებს,  
ზეცა იხსნება ღიმილის მჩენი.  
გფარავდეს წმინდა ანასტასია  
გფარავდეს ზეცა და ღვთისმშობელი...  
გაიხარდე და დატკბი ცხოვრებით,  
არ დაივიწყო უფლის მცნებები.  
ანასტასია, ჩვენო ტასია,  
ხარ ბაია და ხარ მშვენიერი.  
გაიხარე და იყავ ლამაზი,  
და მუდამ იყავ შენ ბედნიერი!





.....

დილით მალვიძებს ტიტინი შენი,  
 შენ ნაძვის ხე ხარ და სხივი ჩემი.  
 ცუნცულებ, იდიმი, დარბიხარ, მშველი,  
 დილით ჭიკჭიკებ და სალამოს მღერი.  
 ყველასთვის იმეტებ სიყვარულს, ღიმილს,  
 ვარდის ფურცლებიდან სიცოცხლე ღვივის.  
 ცუნცულებ, იდიმი, დარბიხარ, მღერი,  
 მამას ახარებ და დედას შველი.  
 დილით მალვიძებს ტიტინი შენი,  
 შენ იმედი ხარ და სხივი ჩემი.



## შენ ჩემი ათინა ხარ

ჩემი ოცნების ღრუბელი,  
 ელვა და სხივი ხარ!  
 მომწვანო-ზღვისფერი თვალებით  
 ათინა პალასი ხარ!  
 მაღლით მქუხარე ზევსის ასული,  
 ქალღმერთი სიბრძნის,  
 განსჯის, გონების,  
 განმჭვრეტი ყოველის,  
 სიმართლის მეოხი,  
 სპეტაკი, ძლიერი  
 თვალხივოსანი ათინაა!



ჩემში ცოცხლდება ათინას მითი,  
სურათზე დავცქერი მას,  
უცბად მსგავსება აღმოვაჩინე,  
დიკა, როგორ ჰგავს მას!



.....

საქართველოს უძირო ზეცას  
იცავს წმინდანი მეფე ვახტანგი,  
ქრისტეს რაინდი, მაღლით ცხებული,  
ის განუყრელად თვის ერთან არის.  
თბილის - ქალაქის დამმარსებელი,  
ეკლესიათა დამფუძნებელი,  
მეფე მაღალი, ძლევამოსილი,  
დარჩა ლეგენდად გასაოცარი.  
„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ —  
გამოუთქვამს ერს.  
ვლოცულობ კრძალვით — ჩემი ვახტანგი  
ემონებოდეს ღმერთს.  
ჰქონდეს სიბრძნე და სიძლიერე,  
ამასაც შეესთხოვ ღმერთს.  
მაღლი სცხებოდეს მეფე წმინდანის,  
გამოსდგომოდეს ერს.





## მეოცნებე მარნი

რვა წლის მარიაძს  
ვუყვებოდი ღარიბის ამბავს,  
ოცნებით გართულს, როს ქილა ერბო  
გაუტყდა გზაში  
და დარჩა მწარე მას რეალობა —  
სიღარიბე და უსასოება.  
შეწუხდა ძლიერ ამაზე ბავშვი,  
იწყო ღაწვებზე ცრემლებმა დენა.  
მას შეეცოდა ღარიბი კაცი,  
რადგან ოცნება დაემსხვრა ღარიბს.  
მინდოდა რამე გამოსავალი ეპოვა ბავშვს  
და კვლავ ვკითხე მარის:  
ოცნება თუძცა დაემსხვრა საწყალს  
მაშ, რაღა დარჩა ნუგეშად ღარიბს?  
მან მიპასუხა მტკიცედ და მშვიდად,  
დარჩა იმედი საბრალო ღარიბს.  
- ვინმე კეთილი მას კვლავ დაუდგამს,  
გზად ქილა ერბოს — მპასუხობს ბავშვი...  
ის თვით დაუდგამს მას ქილა ერბოს,  
რომელსაც ჰპოვებს ღარიბი კაცი.  
ოცნება ჰქრება, იმედი რჩება —  
მანუგეშებდა პატარა მარი.  
და თუ იმედიც გაუქრა ღარიბს?  
კვლავ შევეკითხე პატარა მარის.  
- ღმერთი გაუჩენს ახალ იმედებს,



იმავე სიმტკიცით მპასუხობს ბავშვი.  
ის იმედიც თუ გაჰქრება მაშინ?  
— მაშინ მოკვდება საბრალო კაცი.  
მარის სიტყვები გულს ჩამეჭვდა.  
მხოლოდ ღმერთისგან იშვა იმედი,  
იმედი რწმენის ნაწილი არი!  
შენ კი პატარა ფილოსოფოსო,  
ჩემო კეთილო, უტკბესო მარი,  
იყავი მუდამ იმედით სავსე,  
რწმენით აღსავსე და ბედნიერი!



### თაკარა დილა

გათენდა თაკარა დილა,  
რუხია მიწა და ცა,  
ცაზე ჩიტები დაჰქრიან,  
ულევი არის გზა...  
გათენდა თაკარა დილა,  
ნისლს დაუფარავს მთა,  
ვის რას მოუტანს ეს დილა,  
გვიქადის ავსა, თუ კარგს?





## დრო დამანგრეველი, დრო აღმშენებელი

შეჩერდი, წუთო!

### გოგო

არ ჩერდებიან დროის ტალღები,  
 მიდიან. მიჰქრიან შორს...  
 ჩვენაც მივყვებით დროის მდინარებას  
 მივდივართ, სადღაც შორს...  
 დრო გადაიფრენს საუკუნეებს,  
 გადაივლის კოსმიურ სივრცეს,  
 დრო არ ჩერდება, სულ წინ მიიწევს,  
 ნეტავ სად მიჰქრის შეუჩერებლივ?  
 სად შეჩერდება, ან სად ისვენებს,  
 არავინ იცის გარდა განგების.  
 მხოლოდ განგებამ იცის ყოველი —  
 საით მიჰქრიან დროის ტალღები...  
 დრო წინ მიიწევს, ანგრევს ყველაფერს,  
 დრო იღუმალი, დაუნდობელი.  
 გვართმევს ბავშვობას, ახალგაზრდობას,  
 სხვა სამყაროში მიჰყავს ყოველი...  
 ის ნასახლარად აქცევს სოფლებს,  
 ციხე ქალაქებს...  
 დრო აღუმებს ყველა სიმღერას,  
 აღუმებს გზებსაც...  
 ამაში არის მისი ძალა დამანგრეველი.

.....



დროს თვისებაა განახლება —  
თავის თავში ბადებს მომავალს,  
ახალ დროებას, ახალ სიცოცხლეს,  
შორს ჩანს წარსული, მიჰქრის აწმყო,  
დროს ტალღებიდან იბადება დრო მომავალი,  
თვითონ დროშია განახლება,  
წარსულ ფუძეზე მოჰყავს ჩვილი ადამიანი  
ახალ იმედით, ახალ სიცოცხლით,  
სპობს წარსულს და ბადებს მომავალს,  
ამაშია მისი ძალა აღმშენებელი.  
და არ დგებიან დროის ტალღები,  
მიდიან, მიჰქრიან შორს...  
ჩვენაც მივეყვებით დროის მდინარებას,  
მივყავართ ძალიან შორს...  
ნუ დავემობთ წარსულს,  
ნუ ვკიცხავთ აწმყოს,  
ვინ იცის იქნებ  
უმჯობესია დრო მომავალი,  
დრო აღდგენის, დრო განახლების...





## ნაპოლეონი

დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს  
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

აზვირთებულა ოკეანე, ასკდება ნაპირს,  
 გაჰკივის ქარი და ქარიშხალი  
 წმინდა ელენეს უკაცრიელ კუნძულზე ბლავის...  
 შავი ღრუბლები ფარავენ ზეცას,  
 ისმის ქუხილი და ჭექა მძლავრი  
 მოსტირის წვიმა და ელავს ზეცა,  
 კაცს შეადრწუნებს სანახავი ესოდენ მკაცრი.  
 ველურ ნაპირთან რუხ ქურთუკით, სამკუთხა ქუდით  
 დაიარება საფრანგეთის იმპერატორი,  
 თან ახლავს სევდა გამოუთქმელი.  
 მას, დამარცხებულს ვატერლოოს ველზე  
 მტრებმა აჰყარეს მოქალაქის უფლება წმინდა,  
 ვით ტუსადი იგი გადმოსვეს უცხო კუნძულზე,  
 ეს კუნძული აფრიკის გზაზე  
 არის უდაბნო ცხელი და ბნელი.  
 ამ უდაბნოში, სიმარტოვეში, მოშორებული  
 გვარდიასა და თავის ახლობელთ  
 მუდმივ ტანჯვაში სიკვდილს ნატრობდა  
 ის ექვსი წელი!  
 ბორგვენ ტალღები, ასკდებიან კლდოვან ნაპირებს,  
 ქარის ხმაურში გაისმის ხმა დამანგრეველი.



სული ამბოხი, ცეცხლოვანი ელტვის ქარიშხალს,  
მის სულშიაც ქარიშხალია და ტკივილი გამოუთქმელი.  
და მას დარაჯად ოკეანე უდგას მქუხარი,  
მისებრ მშფოთვარე, მისებრ ძლიერი.  
სუყველგან მტრობა — შინ და გარეთ,  
ცოლის გაქცევა, მის გულგრილობა, შვილის გახიზნვა,  
და მინისტრების ვერაგობა გამოუთქმელი!  
ღალატი ყველგან, შური და მტრობა  
და მისი ბრძოლა უკანასკნელი,  
ვატერლოოს ბრძოლა საბედისწერო...  
უხმობს თვის მარშლებს — გრუშის და ნეის  
მათაც გასწირეს ვატერლოოს ველზე.  
ვატერლოოს ბრძოლამ გადასწევიტა მის დამარცხება  
და გადასწევიტა „მსოფლიოს ბედი“.  
„ან ყველაფერი, ან არაფერი“ — იმპერატორო, გითქვამს ოდესღაც.  
„დიდებულიდან სასაცილომდე ნაბიჯიაო“ — ესეც გითქვამს,  
და ეს ნაბიჯი ღვთის ნებაა, ბედისწერაა  
და ბედისწერამ მიგაჯაჭვა ამ ბნელ კუნძულზე,  
ბედისგან გერგო შენ ტყვეობა, ტანჯვა-წამება გამოუთქმელი...  
სიკვდილის წინ გაირბინა მთელმა ცხოვრებამ -  
კორსიკა და ბავშვობა  
სიღიადე და ძირს ვარდნა  
სამოც ომში გამარჯვება და დამარცხება;  
ბრწყინვალეობა და ტყვეობა;  
სიღიადე და ძირს დაცემა;  
სიყვარული და ვერაგობა;  
შური და მტრობა



დალატი და ძირს ვარდნა სრული.  
მოკვდი, „წყვდიადსა და წამებაში“.  
არცერთი ცრემლი არ წაგყოლია  
დაგასაფლავეს უცხო სილაში, ვით ჯარისკაცი,  
დაქირავებულ მოხელის ხელით,  
და ყოველ დილით და ყოველ ღამით  
შენ დაგტიროდა ატლანტიის ოკეანე ქარიშხლიანი,  
ასკდებოდა კლდოვან ნაპირებს...  
გასაოცარი შენი ბედი აღელვებს ყველას.  
შენ დააფიქრე ყოველი კაცი შენი გენით,  
შენი დიდებით და „ზღვა გულით განსაკვირველით“,  
შენი გენია უკვდავია,  
საქმენი შენი მარადიულნი,  
დარჩი მსოფლიო ისტორიაში  
თავისუფლების მადიდებელი...  
შემოქმედი თანამედროვე ევროპისა,  
ვით მიჯაჭვული გმირი, პრომეთე,  
წამებული, და მაინც დიადი.





## გზა ჩრდილოეთიდან თბილისამდე


გზა სევდიანი, ერთფეროვანი,  
არყის ხეები შავი ტანით და თეთრი ტოტებით,  
ზეცა რუხი და ცა უღიმღამო  
და სევდისმგვრელი არყის ხეები,  
გზა თოვლიანი...  
ირგვლივ სიცივე, სუსხი და ყინვა,  
გზა უსასრულო, და მოწყენილი.  
ისევ და ისევ სევდისმომგვრელი არყის ხეები...  
ჩემს ქვეყანაში:  
ცისფერი ზეცა, მერცხლის ჭიკჭიკი,  
ვაზის რტოები, ვარდის რტოები  
ყვავილთ კვირტები, ხეთა ყლორტები,  
აჭრელებული მინდორველები...  
გადმოვიფრინე სევდიანი გზა,  
და დავინახე კავკასიონი,  
მთაზე გამოჩნდა ჯვრის მონასტერი  
და მტკვრის ნაპირას — სვეტიცხოველი.





## კურთხეული მხარე

საქართველოა — სამოთხის კარი —  
ნაკურთხი ღმერთის!  
აქ დამარხულა უფლის პერანგი,  
აღმართულია სვეტიცხოველი.  
მხოლოდ აქ არის მშვენება სრული —  
მთებით, ველებით, ზღვით და ქედებით  
ამაყად გვადგას კავკასიონი.  
მხოლოდ აქ იშვა მირდატ, ვახტანგი  
მეფე წმინდანი, უფლის რაინდი.  
დიდი დავითი, ბრძენი თამარი  
და ქეთევანი,  
თავდადებული მეფე დემეტრე,  
სხვა წმინდანები კიდევ მრავალი...  
ცისკენ აწვდილა ნიკორწმინდა და ალავერდი,  
ჯვარი, გელათი, გრემი, ვარძია.  
მოხშუის მთებით თერგი, არაგვი,  
მხოლოდ აქ არის მცხეთა, ტანძია.  
რიონი, მტკვარი, გმირი თბილისი.  
სიმღერა, ლხენა, სუფრა ქართული,  
მხოლოდ აქ იშვა ქართული სიტყვა,  
ცათამდე აღწევს საგალობლები...  
აქ დამარხულა უფლის პერანგი,  
თავზე დაგვნათის სვეტიცხოველი...





## ახალი წელი (2009)

ისევ მოვიდა ახალი წელი,  
ახალ იმედის, ოცნების წელი,  
რწმენის, სიმტკიცის აღმადგენელი  
გამარჯვებების მაუწყებელი.  
ის შემობრძანდა ოქროს მანტიით,  
თოვლიან ღამით ფეხბედნიერი.  
მოვროთ ნაძვის ხე ულამაზესი,  
ხე მარადმწვანე, დაუჭკნობელი,  
გვჯეროდეს თოვლის ბაბუის მოსვლა,  
ღვთისაგან არის გამოგზავნილი,  
რომ მოგვიტანოს ბედნიერება —  
და სიხარული  
და საჩუქრები  
და ოცნებები...  
ახალ წლის ღამეს —  
თვითონ უფალი მოვიდა ჩვენთან  
სიყვარულით და იმედებით...  
ღღეს ყველას გვიყვარს ერთი-მეორე  
ერთურთს ლოცავენ ღვინის თასებით,  
ყველა შემხვდური ლოცავს ერთმანეთს,  
მოყვასი არის იგი, თუ მტერი,  
ამდენი ლოცვა სცილდება კოსმოსს,  
განახლებული დაღადებს ცაში...  
დავლოცოთ ყველამ ჩვენ ერთმანეთი,  
დალოცოს ღმერთმა ქვეყანა ჩვენი.  
ჩვენი ოჯახი, ჩვენი ბავშვები  
ხმა ისმის მაღლით, ხმა დიდებული.  
დალოცოს! ამინ!



## აპრილი

ჰვავის ყოველი...  
ფეთქავს სიცოცხლე...  
ყვავილთ სურნელი  
აღწევს ცათამდის,  
ვით საკმეველი.  
რა ხატებაა,  
სამოთხის დარი...  
ყვავილთ ნექტარი,  
ყვავილთ სურნელი...  
აყვავდა ვაზი,  
აყვავდა ვაშლი,  
აყვავდა ნუში.  
აპრილის თვეა,  
ჰვავის ყოველი...  
და ფეროვანი ყვავილებით შეიმოსება  
ხე მშვენიერი, ხე დედოფალი.





## სარჩევი

ნიღბები.....	4
მეტი სინათლე.....	5
საითაა გზა.....	6
წუთისოფელი.....	6
სალეთისმეტყველო სათნოება ერთადერთია.....	7
იდუმალეზა.....	7
მარადისობა.....	8
არ მეორდება ქვეყნად სიცოცხლე.....	8
დრო.....	9
ბედისწერა თუ ცივი ქარი.....	9
სიცოცხლის ხიდი.....	10
საით მივდივართ.....	11
ბენვის ხიდი.....	12
სით გელიან.....	13
თბილისის კართან.....	14
განშორება თბილისთან.....	14
თოვლში ხეტიალი.....	15
დათოვლილი გზები.....	15
თოვლში ვიდოდით.....	16
გულისტკივილი.....	17
დედა-შვილი.....	18
დიდი ღმერთი მფარველია შენი.....	18
სიმარტოვე.....	19
მარტოხელა.....	19
სიზმარია თუ სიცოცხლის ხედვა.....	20
ბინდი.....	21
ოქროსფერ ღრუბლებს მირეკავს ქარი.....	21
შავი ღრუბლები.....	22
მისთვისაც ვილოცოთ ღმერთი.....	22
შემოდგომის დღე.....	23
შემოდგომის ვერხვი.....	24
ქარიშხალი.....	25
მზე ადამიანში.....	25
ქალი და მზე.....	26
საქართველოს მზე.....	27
ცა და ზღვა.....	28
მე და ზღვა.....	28
... (წუთს ჰფარავს ღრუბელი).....	29



გაზაფხული დადგა .....	29
ისევ გამოიდარებს .....	30
არ დაბრუნდება .....	30
ფიქრთა ნიაღვარი .....	31
თეთრი გვირილები .....	31
ტალღები.....	31
ირგვლივ უდაბნოა.....	32
ყაყაჩოს ცეცხლი .....	33
ტკივილი დროის .....	34
შენი სამოსი იისფერია .....	34
შორია სავალი გზა .....	35
მზე განახლების .....	35
ცხრა აპრილი .....	36
მზე შინა და გარეთ .....	37
ორი ქვეყნის ბჭესთან .....	37
შორით ჰგოდებს ქარი .....	39
სიკვდილის ლანდი .....	39
მწუხრის ლოცვა .....	40
შესანდობარი .....	40
დამალა დარდმა .....	41
როცა მოგვკვდები .....	42
გახსენება წალვერში .....	42
მამას .....	44
სოფელი ინგრეოდა, სოფელი შენდებოდა .....	44
მოლოდინი .....	45
სიმორე .....	46
ანას .....	47
პატარა ანასტასიას .....	48
... (დილით მალვიძებს ტიტინი შენი) .....	49
შენ ჩემი ათინა ხარ .....	49
... (საქართველოს უძირო ზეცას იცავს წმინდანი) .....	50
მეოცნებე მარი .....	51
თაკარა დილა .....	52
დრო დამანგრეველი, დრო აღმშენებელი .....	53
ნაპოლეონი .....	55
გზა ჩრდილოეთიდან თბილისამდე .....	58
კურთხეული მხარე .....	59
ახალი წელი (2009) .....	60
აპრილი .....	61

